საექსპერტო დასკვნა
ალ. ყაზბეგის გამზირსა და მიცკევიჩის ქუჩებს შორის (საკადასტრო კოდი 01.10.14.015.031) ამჟამინდელი მისამართი მიცკევიჩის ქ.№27გ-ში საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევაზე

„საბურთალო 2006"-ის თავმჯდომარის დავალებით 2016 წლის მაისის თვეში შემოწმდა ზემოაღნიშნული ობიექტის კვლევითი სამუშაოების ტექნიკური ანგარიში.

საამშენებლო მოედანზე მშენებლობა დაიწყო ორ ეტაპად პირველი ეტაპი შედგება პირველი და მეორე ბლოკებისაგან, რომლის მშენებლობაც დასრულებულია. მეორე ეტაპი არის მიწისქვეშა ავტოსადგომები შესასვლელით და ზედ ერთსართულიანი განლაგებული №3 ბლოკით. ამჟამად ასაშენებელია მე-3 ბლოკი.

<u>შემოწმების მიზანი:</u>

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ჩატარებისა და სათანადო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის დროს ნორმატიული დოკუმენტებისა და სტანდარტის მოთხოვნათა დაცვის დადგენა. შესამოწმებლად წარმოდგენილია ერთ წიგნად აკინძული პროექტი.

1. **ტექსტური ნაწილი (დანართები):**

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, გრუნტების ფიზიკური-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული კვლევის შედეგები, გრუნტების კომპრესიაზე გამოცდის გრაფიკები, გრუნტების ძვრაზე გამოცდის გრაფიკები, გრუნტების სტატისტიკური დამუშავების შედეგები, გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები.

2. **გრაფიკული ნაწილი (დანართი):**

უბნის ტოპოგრაფიული გეგმა, ჭაბურღილების ჭრილებისა და პროფილების დატანით, ცალკე გამოხაზული ჭაბურღილების ჭრილები და პროფილები.

ამხანაგობა „საბურთალო 2006"-ის დაკვეთის საფუძველზე შ.პ.ს. „საინჟგეომ" 2006 წლის ივნისის ბოლოს და ივლისის დასაწყისში ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქ. №27-ში 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა. საველე და კამერალური სამუშაოები შესრულდა ინჟინერ-გეოლოგ გ. ჭინჭარაულის ხელმძღვანელობით.

3. **დაპროექტების სტადია – მუშა პროექტი:**

I. ტექსტური ნაწილი მოიცავს: შესავალს, ადგილმდებარეობა და საზღვრები, გეომორფოლოგიური, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები.

II სპეციალური ნაწილი

საინჟინრო-გეოლოგიური პირობები, გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, დასკვნები და რეკომენდაციები.

შენობის კონტურის ფარგლებში გაყვანილია 6 ჭაბურღილი სხვადასხვა სიღრმის. 4 ჭაბურღილის სიღრმე არის 23,6 მეტრი და 2 ჭაბურღილის სიღრმე 10-12 მეტრი. ბურღვის საერთო მოცულობამ შეადგინა 108 გრძივი მეტრი.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, გამოკვლეულ ტერიტორიაზე გამოყოფილია სამი ფენა. პირველი ფენა – ნაყარი გრუნტი, მეორე ფენა თიხნარი და მესამე ფენა გამოფიტული ქვიშაქვების და არგელიტების მორიგეობა.

გრუნტის წყლის დამყარების დონე 4-5,5 მეტრია მიწის ზედაპირიდან. ჩატარერებულია ლაბორატორიული კვლევები.

უბნის გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე დასაპროექტებელი შენობის საძირკვლის ფუძის გრუნტად შეიძლება გამოყენებული იქნას №2 ფენა თიხნარი. გარცელებულია მთელს უბანზე ნაყარი გრუნტის ქვემოთ, მიწის ზედაპირიდან 18,5-21,6 მეტრი სიღრმემდე, წარმოდგენილია ყავისფერი თიხნარით, ქვიშნარის და ქვიშის თხელი 0,1-0,3 სიმძლავრის შუა შრეებით, წვრილი ღორღის და ხვინჭის ცალკეული ჩანართებით. გრუნტის საანგარიშო წინაღობა R_0=2,00კგ/სმ2

შემოწმების შედეგები:

1.. ქ. თბილისში მიცკევიჩის ქ. №27-ში 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვიოს გამოყოფილი ტერიტორია მშრალია და მშენებლობისათვის „დამაკმაყოფილებელ" პირობებში იმყოფება.

2. ბურღვის შედეგად გამოვლენილ ლითოლოგიურ სტრუქტურაში შენობის ფუძის დაფუძნებისათვის სწორადაა შერჩეული მეორე ფენა თიხნარები და სწორადაა განსაზღვრული აგრეთვე ამ ფენის ფიზიკური და მექანიკური თვისებების პარამეტრების სიდიდეები.

საქართველოს მომქმედი სეუსმური დარაიონების მიხედვით ქ. თბილისი მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურობის ზონას (საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს 1991 წლის 7 ივლისის №42 ბრძანების დანართი) . უბნის სეისმურად მიღებულ იქნას 8 ბალი.

დასკვნა:

ქ. თბილისში მიცკევიჩის ქ. №27გ-ში საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა შესრულებულია მომქმედი საამშენებლო ნორმებისა და სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს საცხოვრებელი სახლის პროექტის შედგენას.

ექსპერტი
ინჟინერ-გეოლოგი ლ. კობალავა

27 მაისი 2016წ.